სამოქალაქო იდეა
2025

ჩინური კომპანიები საქართველოში

ძირითადი მიგნებები

„ქართული ოცნების“ პარტნიორი ჩინური კომპანიების საქმიანობის თანმდევი რისკების, შესაძლო დარღვევების და ანგარიშვალდებულების ხარისხის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ ჩინური კომპანიების ჩართულობით მიმდინარე სახელმწიფო პროექტები ხასიათდება კორუფციის რისკებით, სუსტი სათანადო გადამოწმების (due dilligence) პრაქტიკით და სამართლებრივი თუ ეთიკური სახის დარღვევებით.

ყველაზე ხშირად დაფიქსირებული დარღვევები:

73% 11-დან 8
ეჭვმიტანილია
კორუფციაში

36% 11-დან 4
ეჭვიტანილია შრომითი
უფლებების დარღვევაში

55% 11-დან 6
ეჭვმიტანილია თაღლითურ
ქმედებებში

27% 11-დან 3 კომპანიის წინააღმდეგ
აღძრულია
სასამართლო საქმე

45% 11-დან 5
დასანქცირებულია
მსოფლიო ბანკის მიერ

27% 11-დან 3 კომპანიის წინააღმდეგ
საერთაშორისო ორგანიზაციებმა
და/ან ბანკებმა გამოძიება დაიწყეს

36% 11-დან 4
იზღუდება აშშ სამთავრობო
დეპარტამენტების მიერ

9% 11-დან 1
გამოცხადებულია „ომის
საერთაშორისო სპონსორად

100%

მთელი რიგი შემაშფოთებელი მტკიცებულებები აჩვენებს, რომ თითოეულ ჩინურ კომპანიას, რომელიც „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობს, სულ მცირე, ერთი სერიოზული სამართლებრივი, ფინანსური ან ეთიკური დარღვევა უკავშირდება.

სინოჰიდრო

1996 - 2009	მალაიზიის მთავრობამ კომპანია მრავალ დანაშაულში ამხილა და სინოჰიდროზე ზეწოლა მოახდინა, რომ 2009 წლამდე პროექტი შეფერხებების გარეშე დაესრულებინა.
2008	საერთაშორისო სავალუტო ფონდი კონგოსა და სინოჰიდროს შორის 9 მილიარდი დოლარის ვალის პირობების გადაწერაში ჩაერია, რადგან მსგავსი სესხის გაცემა ძალიან ძვირად და სახიფათოდ მიიჩნია.
2010	სინოჰიდრო პირველად გამოჩნდა ქართულ ბაზარზე.
2011	სინოჰიდრომ ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობა დაიწყო.
2012	ბოცვანის მთავრობამ სინოჰიდროსთან კონტრაქტი შეწყვიტა, საერთაშორისო აეროპორტის (SSKIA) გაფართოების პირობების შეუსრულებლობის გამო.
2013	მალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე დარღვევების გამო, მსოფლიო ბანკის სანქციების საბჭომ კომპანიას საყვედური გამოუცხადა.
2014	მსოფლიო ბანკის გამომძიებლებმა სინოჰიდრო არალეგალურ მაქინაციაში დაადანაშაულეს.
2014	სინოჰიდრომ თბილისი-რუსთავის გზის მონაკვეთის მშენებლობა დაიწყო.
2015	ოპოზიციის ლიდერმა, ზორან ზაევმა, ჩრდილოეთ მაკედონიის მაღალჩინოსნები სინოჰიდროსთან კორუფციულ გარიგებებში ამხილა.
2016	მსოფლიო ბანკმა კონგოში, მალიში, ფილიპინებსა და მალაიზიაში, ასევე, აფრიკის ქვეყნებში, თაღლითური და კორუფციული პრაქტიკის გამო, კომპანია დაასანქცირა.
2016	სინოჰიდრომ საქართველოში სამტრედია-გრიგოლეთის გზის მშენებლობა დაიწყო.
2017	ნიგერიულმა ენერგეტიკულმა კომპანიამ, Sunrise Power and Transmission Company-იმ სინოჰიდროს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში სარჩელი შეიტანა.
2017	AFDB-ს მთლიანობისა და ანტიკორუფციული ოფისის გამოძიებით დადგინდა, რომ სინოჰიდრო უგანდაში თაღლითურ პრაქტიკას ახორციელებდა.
2017	კენიის სახელმწიფო შესყიდვების ადმინისტრაციული განხილვის საბჭომ გააკრიტიკა და გააუქმა Sinohydro Tianjin Engineering Ltd-სთვის კენიის Thwake კაშხლის მშენებლობის ხელშეკრულება.
2017	სინოჰიდრომ საქართველოში E60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის მშენებლობა დაიწყო.
2018	რუმინეთმა სინოჰიდროსთან გააფორმა პირველი კონტრაქტი ბუქარესტის გზის სარტყლის პროექტთან დაკავშირებით. 2019 წელს რუმინეთის ხელისუფლების წარმომადგენლები კორუფციულ მაქინაციებში ამხილეს და გაასამართლეს.

2019 ზიმბაბვეს მუშათა კავშირმა აღმოაჩინა ადგილობრივი მუშების უფლებების დარღვევის მრავლობითი შემთხვევები.

2019 სინოჰიდრომ შეწყვიტა კაფუეს ხეობაში კაშხლის მშენებლობა.

2020 რუმინეთშისინოჰიდრომ,ადგილობრივკომპანიაGoodProd-სთანერთად,სალაჯის ჩრდილო-დასავლეთის მხარეში, სარტყლური გზის პროექტის ტენდერი მოიგო.

2020 სინოჰიდრომ საქართველოში ხულო-ზარზმის გზის 42 კმ-იანი მონაკვეთის საერთაშორისო ტენდერში გაიმარჯვა.

2021 სინოჰიდროს წინააღმდეგ ეკვადორის სახელმწიფო ენერგოკომპანია CE-LEC-მა საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში სარჩელი შეიტანა კოკა კოდო სინკლერის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში გამოვლენილი სამშენებლო დარღვევების გამო.

2023 ევროპის საინვესტიციო ბანკმა მის მიერ დაფინანსებულ ხუთ პროექტში, მათ შორის, საქართველოში სინოჰიდროს მიერ განხორციელებულ პროექტებში დარღვევები გამოავლინა.

2024 საქართველოს მთავრობამ სინოჰიდროსთან კონტრაქტი შეწყვიტა, ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

Tebian Electric Apparatus Stock Co LTD (TBEA Co., Ltd.)

2009 ტაჯიკეთის ენერგეტიკისა და მრეწველობის სამინისტროსა და TBEA-ს შორის ხელმოწერილ მემორანდუმში აღინიშნა, რომ TBEA ელექტროსადგურის მშენებლობის სანაცვლოდ მიიღებს ნებართვას ოქროს მაღაროების დამუშავებაზე.

2012 - 2014 TBEA-მ ტაჯიკეთის ელექტროსადგურ დუშანბე-2-ის მშენებლობის პირველი ფაზის ხარჯების დასაფარად სესხი აიღო ჩინეთის ექსიმ ბანკისგან.

2014 TBEA-მ დუშანბეში, ელექტროსადგურის მშენებლობის სანაცვლოდ, ჩრდილოეთ ტაჯიკეთში ოქროს მაღაროების დამუშავებაზე ნებართვა მიიღო.

2014-2016 დუშანბე 2-ის მშენებლობის მეორე ფაზის ხარჯების დასაფარად სესხი ექსიმ ბანკისგან უკვე არა TBEA-მ, არამედ ტაჯიკეთის მთავრობამ აიღო.

2013 ყირგიზეთში Bishkeks Combined Heat and Power Pnat (CHP) Tebian Electric Apparatus Stock Co Ltd (TBEA)-ის მიერ აშენებული ელექტროსადგური, პროექტის დასრულების წელსვე, მწყობრიდან გამოვიდა და ბიშკეკის მოსახლეობის დიდ ნაწილს გათბობა და ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა.

2017 TBEA-მ საქართველოში 3 559 322 ლარის ღირებულების ტენდერში მიიღო მონაწილეობა.

2018 “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის” მიერ გამოცხადებულ 14 813 559.00 ლარის ღირებულების ტენდერში TBEA-მ გაიმარჯვა.

2020 — გამბიის სახელმწიფოს მთავრობამ ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი პროექტი გადასცა TBEA-ს, რომელმაც 2017 წელს გამბიის პრეზიდენტის ადამ ბაროუს ჩინეთში ვიზიტის ხარჯები დააფინანსა.

Nuctech

2006 - 2007 — ფილიპინებში გამოვლინდა, რომ სახელმწიფო საბაჟო სააგენტომ ზედმეტი თანხა გადაიხადა, როდესაც მან „Nuctech"-თან 150 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების არასატენდერო ხელშეკრულება გააფორმა.

2006- 2009 — ნამიბიაში Nuctech-ის წარმომადგენელს და ნამიბიის ორ მოქალაქეს ბრალი დასდეს Nuctech Company Ltd.-სა და ნამიბიის მთავრობას შორის გაფორმებულ კონტრაქტთან დაკავშირებით კორუფციის, ფულის გათეთრების, მოსყიდვისა და თაღლითობის გამო.

2009- 2010 — ევროკავშირმა Nuctech Company Ltd. დემპინგში დაადანაშაულა და Nuctech-ის სკანირების სისტემების იმპორტზე დროებითი ანტიდემპინგური გადასახადი დააწესა.

2012 — საქართველოს შემოსავლების სამსახურმა რენტგენული შემოწმების სისტემა შეიძინა Nuctech Company Limited -ისგან ყაზბეგისა და წითელი ხიდის საბაჟო გამშვები პუნქტებისთვის.

2014 — საქართველოს შემოსავლების სამსახურმა 3 ერთეული სტაციონალური რენტგენული კონტროლის სკანერი შეიძინა Nuctech Company Limited-სგან ნინოწმინდის, ვალესა და სადახლოს საბაჟო გამშვები პუნქტებისთვის.

2014 — აშშ-ში, სატრანსპორტო უსაფრთხოების ადმინისტრაციამ Nuctech–ის დანადგარები აკრძალა.

2016 — Nuctech-ის წარმომადგენლისგან ტაივანის საავიაციო პოლიციის ბიუროს საავიაციო უსაფრთხოების განყოფილების უფროსმა 3.6 მილიონი ტაივანური ახალი დოლარის ოდენობის ქრთამი მიიღო, ტაივანის აეროპორტებისთვის Nuctech-სგან 17 რენტგენული სკანერის აპარატის შესყიდვის განსახორციელებლად.

2016 - 2019 — უკრაინაში Nuctech-თან გაფორმდა კონტრაქტი, რომელიც ქვეყნის საგუშაგოებზე სტაციონარული სკანერების განთავსებას ითვალისწინებდა. 2019 წელს უკრაინის სახელმწიფო საბაჟო სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ შვიდი სკანერის ნაცვლად, უკრაინამ Nuctech-სგან მხოლოდ ოთხი მიიღო და ყველა მათგანი დეფექტური იყო.

2018- 2020 — საქართველოს შემოსავლების სამსახურმა „Nuctech Company Limited"-სგან ჯამში 5 870 722.48 აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია შეიძინა.

2019 — Nuctech-მა საჯაროდ განაცხადა, რომ სანკტ პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მჭიდროდ თანამშრომლობს მაღალენერგეტიკული რენტგენის აპარატურის, ანტიტერორისტული აღჭურვილობისა და სხვა ტექნოლოგიების შექმნის საკითხებში, რომელიც შემდგომში სამხედრო მიზნებისთვის გამოიყენება.

2020 — კანადის ხელისუფლებამ Nuctech-ს გაუფორმა 6,8 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების კონტრაქტი, რომელიც ითვალისწინებდა კანადის 170 საელჩოს და საკონსულოების სკანერის მოწყობილობებით მომარაგებას.

2021 — ლიეტუვის ხელისუფლებამ ოფიციალურად მიიღო გადაწყვეტილება, აკრძალოს ლიეტუვის სამი საერთაშორისო აეროპორტისთვის Nuctech-ის აღჭურვილობის მიწოდება.

2021 — ლატვიის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ Nuctech-ის შესახებ გავრცელებული ნეგატიური მოსაზრებების მიუხედავად, ლატვიის სახელმწიფო შემოსავლების სამსახური აგრძელებს Nuctech-ის მოწყობილობების გამოყენებას ლატვია-რუსეთის ყველა სასაზღვრო პუნქტზე.

2024 — ევროკავშირის შესაბამისი უწყების გადაწყვეტილებით, Nuctech-ის როტერდამისა და ვარშავის ოფისებში ჩხრეკა ჩატარდა. კომპანიის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო ევროკავშირის საგარეო სუბსიდიების მარეგულირებელი მექანიზმის საფუძველზე შემდეგი ბრალდებით - ჩინეთის სახელმწიფო სუბსიდიები Nuctech-ს უპირატეს მდგომარეობაში აყენებდა და ხელს უშლიდა კონკურენციას.

China Road and Bridge Corporation (CRBC)

2009 — მსოფლიო ბანკმა სანქციები დაუწესა CRBC-ის ფილიპინების ეროვნული გზების გაუმჯობესებისა და მართვის პროგრამასთან დაკავშირებული თაღლითური პრაქტიკის გამო.

2009 — კენიაში, Standard Gauge Railway (SGR) პროექტს, რომელსაც CRBC ხელმძღვანელობდა და რომლის 85%-ს სკანდალური ჩინური ბანკი აფინანსებდა, სერიოზული კრიტიკა მოჰყვა ოპოზიციის ლიდერებისა და კენიელი ეკონომისტების მხრიდან, რადგან მათ ქვეყნის ვალის ზრდაში ადანაშაულებდნენ.

2015 — უგანდის მთავრობამ, მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ Pakwach-Nebbi Road პროექტთან დაკავშირებით, CRBC-თან ხელშეკრულება გააფორმა. თუმცა, კომპანიაზე დაწესებული სანქციების გამო, უგანდის მთავრობას ტენდერიდან CRBC-ის დისკვალიფიკაცია მოსთხოვეს.

2015 — კენიის სასამართლომ გამოაქვეყნა სამოქალაქო საჩივარი ნომრით 13, რომლითაც CRBC-ის მიერ SGR-ის მშენებლობასთან დაკავშირებული გადაცდომები გაამჟღავნა. მოგვიანებით, 2018 წელს, ეთიკისა და ანტიკო-რუფციულმა კომისიამ კენიის მთავრობის წარმომადგენლების მიერ 2.20 მილიონი დოლარის ოდენობის თანხის უკანონო მითვისება გამოავლინა.

2018 — კენიაში კომპანია „AfriStar"–მა და მისმა მთავარმა აქციონერმა CRBC-მა, ბილეთების რთული დაჯავშნის სისტემით მანიპულირება მოახდინა და ჩინეთის რკინიგზის შემოსავლები ოპერატორსა და სხვა თანამშრომლებს შორის გადაანაწილა. მათ შექმნეს თანხის ანაზღაურების ყალბი სისტემა იმ ბილეთებზე, რომლებიც მატარებელში ასვლისთანავე უკვე დაურიგდათ მათ მომხმარებლებს, ხოლო შემოსული თანხა კი, რეალურად სხვაგან გადარიცხეს.

2018 — მასობრივი კორუფციული სკანდალი ყირგიზეთის ყველაზე დიდი ინფრასტრუქტურული პროექტის ირგვლივ. სკანდალში გახვეულები იყვნენ ყირგიზეთის მთავრობის წევრები და CRBC-ის წარმომადგენლები.

2018 — სკანდალი ხორვატიაში Pelješac-ის ხიდის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით. ავსტრიულმა კომპანიამ, Strabag-მა საჩივარი შეიტანა ჩინური კონტრაქტორის CRBC-ის წინააღმდეგ. კომპანია ამტკიცებდა, რომ CRBC-ის მიერ ზოგიერთი ობიექტი საეჭვოდ დაბალ ფასში იყო წარმოდგენილი, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის კანონმდებლობას.

2018 — ჩინეთის ექსპორტ-იმპორტის ბანკმა 200 მლნ აშშ დოლარის ღირებულების სესხი მისცა უკრაინას Odesa-Mykolaiv-Kherson საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტისთვის, რომელსაც CRBC ხელმძღვანელობდა.

2018 — საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა China Road and Bridge Corporation-თან 901,973,206.57 ლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა უბისა-შორაპნის 13 კილომეტრიანი გზის სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით.

2020 — უბისა-შორაპნის მონაკვეთის მშენებელი კომპანიის CRBC-ის საამქროს თუნუქის სახურავის ჩამოშლის შედეგად 2 ჩინელი მუშა მსუბუქად, ხოლო 1 ქართველი მუშა მძიმედ დაშავდა.

2020 — უბისა-შორაპნის საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოებისას CRBC-ის დასაქმებული ბულდოზერის ოპერატორი მძიმედ დაშავდა, რის შედეგადაც მუშას ფეხის ამპუტაცია დასჭირდა.

2020 — საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა China Road and Bridge Corporation-თან 6,997,668.00 ლარის ღირებულების კონტრაქტი გააფორმა ჟინვალი-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ 25.5 – კმ 32 სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით.

2020 — საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ინფორმაცია CRBC-ის სამუშაო ტერიტორიაზე - უბისა-შორაპნის გზატკეცილზე ერთ-ერთი კონტრაქტორი კომპანიის სპეციალისტის ჯანმრთელობის დაზიანებასთან დაკავშირებით.

2021 — CRBC მონტენეგროს დაჰპირდა, რომ UNESCO-ს მიერ დაცულ მდინარე ტარას კალაპოტს აღადგენდა, რომელიც მშენებლობის დროს თავად დააზიანა.

China State Construction Engineering Corporation Limited (CSCEC)

2004 — ფილიპინების რესპუბლიკის საზოგადოებრივი სამუშაოებისა და საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, ადგილობრივი წესებისა და რეგულაციების დარღვევის გამო, კომპანია ერთი წლის ვადით დაბლოკა.

2009 — მსოფლიო ბანკმა CSCEC შავ სიაში შეიყვანა ფილიპინებში შეთქმულებასა და კორუფციულ სკანდალში მონაწილეობის გამო.

2013 — CSCEC-ს ბრალი ედებოდა შენჟენში (ჩინეთი) რამდენიმე ცათამბჯენის ასაშენებლად დაბალი ხარისხის ზღვის ქვიშის გამოყენებაში.

2015 — ბაჰამის ადგილობრივმა კომპანიამ Baha Mar Ltd.-მ CSCEC-ს აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში უჩივლა მასიური თაღლითობისა და რამდენიმე სხვა გადაცდომის გამო, როგორიცაა პროექტის ვადების დარღვევა, ფინანსური ზარალი, მასიური კომპლექსის მშენებლობაში გამოცდილების ნაკლებობა და მშენებლობის დოკუმენტების მოპარვა.

2017 დავა BML-სა და CSCEC-ს შორის ნიუ-იორკის უზენაეს სასამართლოშიც გაგრძელდა.

2019 საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და CSCEC-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება პროექტ „E-60 მაგისტრალის უბისა-შორაპნის მონაკვეთის მშენებლობასთან(F3)“ დაკავშირებით.

2019 პაკისტანის კომუნიკაციების მინისტრმა მურად საიდმა განაცხადა, რომ საავტომობილო გზების ეროვნულმა ორგანომ დაარღვია შესყიდვის წესები, როდესაც 259 მილიარდი ინდური რუპიის ღირებულების მემორანდუმი გააფორმა CSCEC-სთან.

2020 ტრამპის ადმინისტრაციამ CSCEC კიბერ ჯაშუშობაში დაადანაშაულა, ხოლო აშშ-ში რეგისტრირებულ სუბიექტებს აუკრძალა, გამხდარიყვნენ CSCEC-ის აქციონერები.

2024 მსოფლიო ბანკის გამოძიების შედეგად, ბოლივიაში CSCEC-ის მიერ განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტში დარღვევები გამოვლინდა.

2025 ალჟირში, CSCEC-ის პროექტის ფარგლებში დასაქმებული პერსონალი გაიფიცა, რადგან კომპანია თვეების განმავლობაში მათ ხელფასს არ უხდიდა.

China Nuclear Industry 23 Construction Co., Ltd (CNI23)

2010 CNI23-ის დამფუძნებელ, China National Nuclear Corporation (CNNC)-ის გენერალურ მენეჯერ, კანგ რიქსინს, სამუდამო პატიმრობა მიესაჯა 6,6 მილიონი ჩინური იუანის ოდენობის ქრთამის აღებისთვის.

2012 CNI23-სა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება რუისი-აგარა-აგარის შემოვლითი გზის მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით.

2014 CNI23-ის ფილიალს საქართველოში მიენიჭა უფლებამოსილება, რომ აგარის ტერიტორიაზე მოეპოვებინა ქვიშა-ხრეში; თუმცა, კომპანიას დაევალა, რომ დაეცვა გარემოს დაცვის შესაბამისი სტანდარტები. მოგვიანებით გამოვლინდა, რომ კომპანიამ განახორციელა მიწის ნაყოფიერი ფენის უკანონო მოხსნა და წიაღის უკანონო მოპოვება, რამაც სახელმწიფოს 1 422 961,00 ლარის ოდენობის ზიანი მიაყენა.

2015 რუისი-აგარა-აგარის შემოვლითი გზის მონაკვეთის (კმ 95- კმ 114) სამშენებლო სამუშაოები 17 თვის დაგვიანებით დასრულდა.

2017 CNI23-სა და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება რუისი-აგარა-აგარის შემოვლითი გზის მონაკვეთის გარე განათების სამუშაოებთან დაკავშირებით.

2018 საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასა და CNI23-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება გუდაურის წყლისა და წყალარინების სისტემებისა და გუდაურის წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებით.

2019 CNI23-ის მეორე ძირითადი თანაინვესტორი, China General Nuclear Power Engineering Co., Ltd. (CGN) აშშ-ის კომერციის დეპარტამენტის შავ სიაში მოჰყვა სამხედრო მიზნებისთვის ამერიკული ტექნოლოგიების მოპარვის ბრალდებების გამო.

2021 ერთობლივ ჩინურ-ფრანგულ პროექტში ჩართულმა ფრანგულმა კომპანიებმა ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლები დაადანაშაულეს ტაიშანის ატომური ელექტროსადგურის ირგვლივ რადიაციული გამონადენის დასაშვები ზღვარის გაზრდაში, რათა თავიდან აეცილებინათ მისი დალუქვა.

Hunan Road and Bridge Construction Group Co Ltd

2007 უხარისხო მშენებლობის გამო, ჩინეთში მდებარე 328 მეტრიანი ტუოჯიანგის (Tuo-jiang) ხიდი ჩამოინგრა, რის შედეგადაც დაიღუპა 64 ადამიანი და 22 დაშავდა.

2009 ჩინეთში ადგილობრივი ხელისუფლების 20 წარმომადგენელსა და HNRB-ის ბორდის წევრებს ქრთამის აღების, ბოროტმოქმედების, დაუდევრობისა და ორგანიზებული დანაშაულისთვის 19 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

2018 რიკოთის საუღელტეხილო გზის ხევი-უბისას მონაკვეთის მშენებლობი-სთვის გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას, "Hunan Road and Bridge Construction Group"-სა და საავტომობილო გზების დეპარტამენტს შორის ხელშეკრულება გაფორმდა.

2019 მასაკა-ბუკაკატას გზის პროექტის წინააღმდეგ უგანდაში ადგილობრივების პროტესტი დაიწყო, რომლის შედეგად დროებით შეჩერდა HNRB–ის მიერ წარმოებული სამშენებლო სამუშაოები, რასაც ადგილობრივი ხელისუფლების ჩარევაც მოჰყვა.

2020 საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფკავშირის ფეისბუქ გვერდის მეშვეობით გავრცელდა ინფორმაცია, რომ შპს "ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფსა" და საქართველოს რკინიგზელთა ახალ პროფესიულ კავშირს შორის კოლექტიური შრომითი დავის შემათანხმებელი პროცედურა დაიწყო.

2020 ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო ჯგუფის ქართული წარმომადგენლობის სატვირთო ავტომობილების მძღოლებმა საპროტესტო აქცია გამართეს და დამსაქმებელ კომპანიას წაუყენეს გარკვეული მოთხოვნები.

2021 ხარაგაულში Hunan Road and Bridge Construction Group-ის 250 თანამშრომელი გაიფიცა ხელფასის მომატების მოთხოვნით.

2021 ღირსეული შრომის პლატფორმამ განახორციელა საქართველოში HNRB-ის ფილიალის ინსპექტირება, რომლის ფარგლებშიც შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული 15 დარღვევა დაფიქსირდა.

2021 უგანდაში 100-ზე მეტმა ადგილობრივმა მაცხოვრებელმა არაბულ კონტრა-ქტორს, Osman Ahmed Osman & Co-ს და მის ქვეკონტრაქტორს, HNRB-ს, უჩივლა, ვინაიდან მათ ვერ შეძლეს გზის მშენებლობისთვის საჭირო ქვის მოპოვების პროცესში სასოფლო სამეურნეო მიწებსა და საცხოვრებელ სახლებზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

2022 სამტრედია-გრიგოლეთის გზის 12 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოცხადებულ ტენდერში კვლავ ჩინურმა კომპანია HNRB-მა გაიმარჯვა.

China National Technical Import and Export Corporation (CNTIC)

2008 - 2009 ინდონეზიაში CNTIC-ის მიერ ადიპალას ელექტროსადგურის მშენებლობას კორუფციის ბრალდებები და ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობა მოჰყვა.

2011 ინდონეზიაში სოფლის მოსახლეობა შეშფოთდა, როცა ადიპალას ელექტროსა-დგურის მშენებლობისთვის გამოყენებულმა ტექნიკამ ადგილობრივი გზები დააზიანა. კომპანიის ადგილობრივი მუშები კი, მრავალჯერ გაიფიცნენ მათთვის შეუსაბამოდ დაბალი შრომის ანაზღაურების გამო.

2018 გარემოსდაცვითი შეფასების ორგანომ გამოსცა შრი-ლანკაში რუანპურას ჩქაროსნული გზის შეფასების ანგარიში, რომლის მიხედვითაც CNTIC-ის მიერ გზის მშენებლობის პროექტი შეიცავდა მთელ რიგ რისკებს.

2018 მიანმარის ზემო კენგტაუნგის კაშხლის პროექტი, რომელზეც პასუხისმგებელი იყო CNTIC, შეიცავდა რამდენიმე რისკ-ფაქტორს, რის გამოც შანის მოსახლეობამ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და დეპუტატებთან ერთად, ხელისუფლებას პროექტის შეწყვეტა მოსთხოვა.

2018 საქართველოში შორაპანი-არგვეთას ავტომაგისტრალის მონაკვეთზე ტენდერი გამოცხადდა.

2019 ორგანიზაცია „გარემოსდაცვითი სამართლიანობის ატლასის“ მიანმარის ზემო კენგტაუნგის კაშხლის შესახებ ანგარიშის მიხედვით, შანის რეგიონში არსებული მდინარეების მდიდარი ეკოლოგიის განადგურებით ადგილობრივი მოსახლეობის ძირითად საარსებო წყაროს საფრთხე ექმნებოდა.

2020 ინდონეზიაში ადგილობრივებმა მოითხოვეს, რომ CNTIC -ს მოეგვარებინა ადიპალას ელექტროსადგურთან დაკავშირებული პრობლემები, ტყეების აღდგენის, ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, დაზარალებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევისა და კომპენსაციის გზით.

2020 შრი-ლანკის მინისტრთა კაბინეტმა ჩინურ კონტრაქტორ CNTIC-ს გზის პირველი მონაკვეთის მშენებლობის უფლება საბოლოოდ ჩამოართვა.

2020 საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამი-ნისტროს, Guizhou Provincial Highway Engineering Group Co.-სა და CNTIC-ს ერთობლივ საწარმოს შორის ხელშეკრულება გაფორმდა.

2022 საქართველოში, შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგად, შორაპანი-არგვეთას მონაკვეთზე, მშენებლობის პროცესში, ერთ-ერთი დასაქმებული გარდაიცვალა.

China Railway Tunnel Group Co., Ltd (CRTG)

2018 CRTG-მ ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოების განსახო-რციელებლად გამოცხადებულ ტენდერში მიიღო მონაწილეობა. საბოლოოდ, კომპანია ტენდერში დამარცხდა.

2019 — სინგაპურში კომპანიის წარმომადგენლები გაასამართლეს კორუფციის მასშტაბური ბრალდებებით.

2019 — მსოფლიო ბანკმა CRTG-ს სანქციები დაუწესა თაღლითობისა და შრომითი უფლებების დარღვევის გამო.

2019 — კომპანიას 20 თვით აეკრძალა ზამბიასა და კენიაში პროექტებში მონაწილეობა უსაფრთხოების ნორმებისა და სამართლებრივი პრაქტიკის დარღვევის გამო.

2020 — პოლონეთში CRTG სარკინიგზო პროექტებთან დაკავშირებით კორუფციაში დაადანაშაულეს, რამაც პროექტების შეფერხება და სამართლებრივი დავები გამოიწვია.

2020 — CRTG-ის სათაო კომპანია „CRCC" აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის „შავ სიაში" მოხვდა.

2022 — ჩინეთში CRTG-ს გარემოსდაცვითი დარღვევებისთვის 1,6 მილიონი იუანის ოდენობის ჯარიმის გადახდა დაეკისრა.

2022-2023 — ისრაელში თელ-ავივის მეტროს რესტავრაციისას CRTG- ის მიერ უსაფრთხოების ნორმების დარღვევისა და ირანის ბირთვულ პროგრამაზე პასუხისმგებელ კომპანიასთან თანამშრომლობის გამო, ისრაელის ხელისუფლებამ იგი სამთავრობო „შავ სიაში" შეიყვანა.

2022 — CRTG ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე დაგეგმილი მრავალი გვირაბიდან ერთ-ერთის მშენებლობაში ჩაერთო.

2024 — საქართველოში სტეფანწმინდა-ლარსის ავტომაგისტრალის პროექტის სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად CRTG-სთან კონტრაქტი გაფორმდა.

2023-2024 — საქართველოში მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის ავტომაგისტრალის სტეფანწმინდა-გველეთის მონაკვეთზე გამოვლინდა გარემოსდაცვითი დარღვევები და უსაფრთხოების პრობლემები.

Hikvision

2019-2024 — საქართველოში სახელმწიფო უწყებების მიერ გამოცხადებულ 26 ტენდერში Hikvision-ის მიერ წარმოებული სათვალთვალო კამერების შესყიდვა განხო-რციელდა.

2021 — სამხრეთ კორეის მთავრობამ, Hikvision-ის პროდუქციის ნაწილზე აკრძა-ლვები დააწესა. გარდა ამისა, 2024 წელს სამხედრო ბაზებიდან 1300-ზე მეტი ჩინური სათვალთვალო კამერა ჩამოხსნა.

2021 — ევროპარლამენტმა Hikvision-ის მიერ წარმოებული კამერების ჩამოხსნის გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნულის მიზეზად დასახელდა ადამიანის უფლებების დამრღვევ ქმედებებში კომპანიის მონაწილეობა.

2022 — ახალი ზელანდიის ბიზნესის, ინოვაციისა და დასაქმების სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ Hikvision-ის აღჭურვილობას აღარ შეიძენდა. მიზეზი - ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული პრაქტიკა, რომლებშიც კომპანია იყო ჩართული.

2022 — აშშ-ს ფედერალური კომუნიკაციების კომისიამ აკრძალა Hikvision-ის წარმოებული სათვალთვალო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების იმპორტი. მიზეზი - უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები.

2023 — უკრაინის კორუფციის პრევენციის ეროვნულმა სააგენტომ Hikvision "ომის საერთაშორისო სპონსორების" სიაში შეიყვანა. მიზეზი - რუსეთის ფედერაციაში კომპანიის აქტიური საქმიანობა.

2023 — ავსტრალიის თავდაცვის დეპარტამენტმა სახელმწიფო უწყების შენო-ბებიდან Hikvision-ის სათვალთვალო კამერების მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო. მიზეზი - უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები.

2023 — კანადის მთავრობამ გადაწყვიტა Hikvision-ის მიერ წარმოებული ტექნო-ლოგიის გამოყენების აკრძალვა. გადაწყვეტილების მიზეზად დასახელდა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები.

2024 — დიდი ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 2025 წლის აპრილამდე, მომხდარიყო Hikvision-ის მიერ წარმოებული კამერების დემონტაჟი იმ შენობებში, რომელიც კრიტიკულ სახელმწიფო უწყებებს განეკუთვნება. გადაწყვეტილების მიზეზი: ჩინეთის სახელმწიფოსთან დაკავშირებული აქტორების ჯაშუშური აქტივობები.

2024 — ინდოეთის მთავრობამ 17 ჩინურ კომპანიას, მათ შორის Hikvision-ს, აუკრძალა ტენდერებში მონაწილეობა; ასევე,სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობითი ურთიერთობების მქონე კერძო კომპანიებს მისცა მითითება აღნიშნული ჩინური კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის გამოიყენების აკრძალვის შესახებ.

China Communications Construction Co.

2011 — CCCC და მისი შვილობილი კომპანიები, ფილიპინებში მიმდინარე პროექტში თაღლითური ქმედებების გამო, მსოფლიო ბანკმა დაასანქცირა.

2014 — ტანზანიის პორტის მმართველი ორგანოს მეთაურსა და მის მოადგილეს კორუფციაში ბრალი წაუყენეს, რადგან აღნიშნულმა პირებმა პორტის გაფართოების პროექტი CCCC-ს კონტრაქტი გაუფორმეს გაორმაგებული ფასით.

2020 — აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, მაიკ პომპეომ აღნიშნა, რომ ჩინეთი CCCC-ის და მასთან დაკავშირებულ გაერთიანებებს საკუთარი "ექსპანსიური დღის წესრიგის განხორციელებისთვის" იყენებს.

2020 — აშშ-ს სავაჭრო დეპარტამენტმა შავ სიაში შეიყვანა 24 კომპანია, მათ შორის, CCCC-ის შვილობილი კომპანიები.

2019-2021 — CCCC დატოვეს ამერიკულმა კომპანიებმა - BlackRock, Inc., JPMorgan Chase & Co. და The Bank of New York Mellon Corporation.

2024 — საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა განაცხადა, რომ ანაკლიის პორტის განვითარების პროექტთან დაკავშირებით კერძო პარტნიორის შერჩევის კონკურსში ჩინურ-სინგაპურული კონსორციუმი (CCCC და China Harbor Investment Pte. Ltd) გამარჯვებულად გამოცხადდებოდა.

2025 — უგანდის ადგილობრივმა საბჭომ, შრომითი უფლებების და საზოგა-დოებრივი უსაფრთხოების ნორმების დარღვევის გამო, CCCC-სთან კონტრაქტი შეწყვიტა.